03/01/2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 30-31 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი მიიღო

ა.წ. 30 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბ-ნი არჩილ თალაკვაძე და მისი ოჯახის წევრები მიიღო.

ბატონმა არჩილმა მის უწმინდესობას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და დღეგრძელობა უსურვა.

31 დეკემბერს მის უწმინდესობას ეწვივნენ ტყვეობიდან გათავისუფლებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, მისი მეუღლე და შვილები, ასევე მოჭიდავეები. მათ გამოჩენილი თანადგომისთვის კათოლიკოს-პატრიარქს და ზოგადად ეკლესიას მადლობა გადაუხადეს. ითქვა ისიც, რომ ბ-ნი ვაჟას გათავისუფლებაში ხელისუფლებასთან ერთად მრავალმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და რუსეთის ეკლესიის მეთაურმაც თავისი წვლილი შეიტანა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა სტუმრები და მათი ოჯახები და ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა.

— patriarchate.ge